კასპის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეომორფოლოგიური შეფასება

მარიამ ნადირაძე

ელ-ფოსტა: mariamnadiradze021@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

სამყაროში, დროის მსვლელობასთან ერთად, ყველაფრის სახეცვლა და გარდაქმნა ხდება. გამონაკლისს არც დედამიწის გეოგრაფიული გარსი წარმოადგენს. რელიეფის სახეცვლა მუდმივი და მზარდი პროცესია, მოიაიზრება, როგორც ბუნებრივი, აგრეთვე ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა. სწორედ, ეს პროცესები გვიბიძგებს მუდმივად ჩართული ვიყოთ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებში. თვალყური ვადევნოთ და ვაწარმოოთ შესაბამისი აღრიცხვები, სტატისტიკა, გავაანალიზოთ უკვე არსებულ სამეცნიერო ნაშრომები და შევმატოთ ახალი კვლევები.

ეს კონკრეტული, სამაგისტრო ნაშრომი, კასპის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეომორფოლოგიურ შეფასებას ეხება. ნაშრომის მთავარი მიზანი და ამოცანა, უკვე არსებული და კვლევისას მოპოვებული ახალი ინფორმაციის სათანადო დამუშავებაა. მუნიციპალიტეტის შესახებ მოპოვებული მონაცემების გაერთიანება და შედარებით თანადროული შეფასებისა გაკეთება.

კვლევა მოიცავს, როგორც კამერულ, ასევე საველე გასვლებს. კერძოდ, განხორციელდა, რამდენიმე საველე გასვლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თანამედროვე რელიეფის, უშუალოდ ადგილზე სანახავად და შესაფასებლად, აგრეთვე, რამდენიმე აზომვითი სამუშაოს ჩასატარებლად. ვესტუმრეთ ქალაქ კასპის მერიას და გარემოს ეროვნულ სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტს კონკრეტული მონაცემების მოსაპოვებლად. ნაშრომის შესაქმნელად, ასევე, გამოყენებულია GIS ტექნოლოგია, მისი მეშვეობით შევქმენით რამდენიმე რუკა და დავამუშავეთ მოპოვებული მონაცემები.